ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

1979 ᲬᲚᲘ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 11 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ № 159 (17504) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲛᲝᲜᲚᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲛᲝᲜᲚᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ, ᲛᲝᲜᲚᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲣᲠᲐᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ Ი. ᲪᲔᲚᲔᲜᲑᲐᲚᲡ, ᲛᲝᲜᲚᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗ Ე. ᲑᲐᲒᲗᲣᲜᲯᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲔᲑᲝ! ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს და ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სახელით მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, მონღოლ ხალხს ძმურად მივესალმებით და გულითადად ვულოცავთ ეროვნულ დღესასწაულს — მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 58-ე წლისთავს.

1921 წლის რევოლუციამ მონღოლეთს დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ფართო პერსპექტივები დაუსახა. ქვეყნის მშრომელები რომლებმაც ღრმა რევოლუციური გარდაქმნები განახორციელეს ცხოვრების ყველა დარგში, ამჟამად შთამბეჭდავ წარმატებებს აღწევენ სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის განუხრელი ზრდა, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფა, მონღოლი ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლება — ყოველივე ეს მკაფიოდ მოწმობს, რომ სწორია არჩეული კურსი, რომ ეს მონღოლეთის მუშათა კლასის, კოოპერირებული არატების, სახალხო ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის მაორგანიზებელი საქმიანობის კანონზომიერი შედეგია. მონღოლი ხალხის დიდი მიღწევები ადასტურებს აგრეთვე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის ქვეყნების ყოველმხრივ თანასწორუფლებიან თანამშრომლობას.

მონღოლეთი, რომელიც სოციალისტური თანამეგობრობის მტკიცე რგოლია, აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრაციაში.

საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პოზიტიურ წვლილს სოციალისტური თანამეგობრობის შეთანხმებულ მოქმედებაში, რომელიც მიზნად ისახავს დაძაბულობის შენელებასა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერას.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის თანამშრომლობამ მაღალ დონეს მიაღწია და სულ უფრო ნაყოფიერი ხდება. ჩვენ მტკიცედ გვაკავშირებს ერთად განვლილი ისტორიული გზაც, დღეევანდელი დიდი ხაქმეებიც, მომავლის საერთო გეგმებიც. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ მონღოლ ხალხთან ნაკად კავშირს.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს მონღოლეთის კომუნისტებს, მთელ მონღოლ ხალხს ვუსურვებთ სრულ წარმატებას მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობის მიერ სოციალისტური მონღოლეთის შემდგომი აღმავლობისათვის დასახული მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში.

დაე, მტკიცდებოდეს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ურღვევი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა!

ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ. Ა. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘ.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

ᲘᲕᲚᲘᲡᲨᲘ შესრულდა ნახევარი საუკუნე, რაც საქართველოს კომპარტიის VI ყრილობამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა მიიღო.

ჭეშმარიტად საუკუნეთა ბადალია გზა, რომელიც ხუთწლედების მანძილზე განვლო საბჭოთა საქართველომ.

გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე უკანასკნელ თვეებში სისტემატურად ქვეყნდებოდა მასალები რუბრიკით „ხუთწლედების სიკეთე“. საქართველოს პირველი ხუთწლედის მიღების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ მასალებს გაეცნობით დღევანდელი ნომრის 1, 2, 3 და 4 გვერდებზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲗᲐ ᲑᲐᲓᲐᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ

ᲐᲘ, ᲠᲐ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲕᲚᲘ, ᲩᲔᲛᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲕ!

ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲘ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, Ვ. ᲛᲔᲚᲥᲐᲫᲔ,

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ. Ვ. ᲐᲓᲕᲐᲫᲔ,

ᲓᲘᲓᲘ სამამულო ომის წლებში საქართველოს ეკონომიკაც სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. ფრონტს ემსახურებოდა როგორც მძიმე, ისე მსუბუქი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ჩვენმა რესპუბლიკამ თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში.

მეოთხე ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔ�გᲛᲐ (1946-1950 წ.წ) წარმოების ომამდელი დონის მიღწევასა და გადაჭარბებასთან ერთად ითვალისწინებდა საქართველოში მძიმე ინდუსტრიის ახალი დარგების, კერძოდ, მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობის შექმნას.

ფართოდ გაიშალა მუშაობა ომის გამო შეწყვეტილ დიდ მშენებლობათა დასამთავრებლად. ინტენსიურად მიმდინარეობდა რუსთავის მეტალურგიული და აზოტიანი სასუქების ქარხნების, ქუთაისის საავტომობილო ქარხნისა და გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობა. მეოთხე ხუთწლედში მწყობრში ჩადგა ხრამჰესის პირველი რიგი, სოხუმშიენი, და ჩითახევშენი, ახალი შახტები ახალციხეში, ტყიბულსა და ტყვარჩელში, თბილისის პლასტმასის ქარხანა, 1950 წლის აპრილში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის № 1 ღუმელმა ფოლადის პირველი ნადნობი მოგვცა.

მეოთხე ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲨᲘ დიდი სამუშაოები გაჩაღდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. აიგო და სიექსპლოატაციოდ გადაეცა მთელი რიგი სარწყავი არხები, მიმდინარეობდა სამგორის დიდი საირიგაციო მშენებლობა, განახლდა კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები.

მეხუთე ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲨᲘ (1951-1955 წ.წ.) საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, მისი ინდუსტრიული ზრდის გზაზე შემდგომი დიდი ნახტომი გადაიდგა. აშენდა მრავალი ახალი სამრეწველო საწარმო, მათ შორის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომელმაც პირველი ქაროული ავტომობილი 1951 წელს გამოუშვა, შაორის ჰიდროელექტროსადგური, გორის ბამბეულის კომბინატი და სხვა მრავალი. 1954 წელს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში პირველი თუჯი გამოადნეს.

მძლავრი სამრეწველო მშენებლობა გრძელდებოდა მეᲔᲥᲕᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ წლებში (1956_1958). ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა და ამოქმედდა კიდევაც ისეთი მნიშვნელოვანი საწარმოები, როგორიც არის რუსთავის ცემენტის ქარხანა, თბილისის ქარხნები ელექტროგამზავები და ელექტროშემდუღებელი, ბათუმის ელექტრომექანიკური, გორის ხელსაწყოთმშენებელი, ცხინვალის ვიბრაციული მანქანების და სხვა ქარხნები. ამ პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში აღმოცენდა მრეწველობის ახალი დარგები — ხელსაწყოთმშენებლობა და ელექტროტექნიკური მრეწველობა.

ᲐᲛ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲨᲘ მნიშვნელოვნად განმტკიცდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა მისი ძირითადი ფონდები, გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები და მრავალწლოვანი ნარგავები.

მერვე ხუთწლედში რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდის ტემპის ერთგვარი დაჩქარების მიუხედავად, მთლიანად საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტემპი და დონე 1951_1970 წლებში მაინც შესამჩნევად ჩამორჩა ანალოგიურ საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

ᲛᲔᲪᲔᲡᲠᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ (1971-1975) წლებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარება ორ მკვეთრად განსხვავებულ ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპია 1971-1972 წლები, როდესაც ნაწილობრივ არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გავლენით, ძირითადად კი ცხოვრების ყველა უბანზე ფეხმოკიდებული ნეგატიური მოვლენების გამო, შეიქმნა ხუთწლედის დავალებათა ჩაშლის საფრთხე. მეორე ეტაპია 1973-1975 წლები, როდესაც სკკ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილების საფუძველზე ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის ნეგატიური მოვლენების დაძლევასთვის ბრძოლის შედეგად მკვეთრი გარდატეხა მოხდა განვითარების გეგმების შესრულებაში.

1971-1972 წლებში მრეწველობის პროდუქციის საშუალო წლიური ზრდა 2,5 პროცენტით შემოიფარგლა, 1973-1975 წლებში კი 9,6 პროცენტი შეადგინა. ამის შედეგად რესპუბლიკის მრეწველობამ ხუთწლედის დირექტივებით დასახულ მიჯნებს მიაღწია.

მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ძვრები მოხდა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში, ხოლო ამ დარგის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოების მოცულობა მერვე ხუთწლედთან შედარებით 18,8 პროცენტით გაიზარდა. გადიდდა საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში.

1974 წლის იანვარში სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების კომპლექსურ პროგრამას წარმოადგენს.

მეᲗᲔᲠᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔ�გᲛᲘᲗ (1976-1980 წ.წ.) განსაზღვრა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და მისი ძირითადი დარგების დაჩქარებული განვითარება. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის დავალებები აჭარბებს საშუალო-საკავშირო ხაგეგმო მაჩვენებლებს.

მეათე ხუთწლედის სამი წლის შედეგები, მეოთხე წლის დავალებათა მოსალოდნელი შესრულება, მეხუთე წლის გეგმის მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეათე ხუთწლიანი გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდება.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი მეათე ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე 23 პროცენტით გადიდდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16,1 პროცენტისა, ხამრეწველო წარმოების მოცულობა იმავე პერიოდში 21,5 პროცენტით გაიზარდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17,8 პროცენტისა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება 27,1 პროცენტით გადიდდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22 პროცენტისა.

წარმოების ეფექტიანობის ზრდის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია შრომის ნაყოფიერების გადიდება. ამ უკანასკნელის ზრდის ტემპის მიხედვით საქართველო შარშან ქვეყნის ყველაზე მოწინავე პოზიციებზე გავდა.

მეათე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე რესპუბლიკაში 6,8-ჯერ გაიზარდა ხარისხისშნიანი ნაწარმის რაოდენობა, 7-ჯერ გადიდდა ამ პროდუქციის გამოშვება, ხოლო მისი ხვედრითი წონა წარმოების საერთო მოცულობაში 9,5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

მონაცემები ცხადყოფს, რომ მეათე ხუთწლედში ეკონომიკის ზრდის ტემპით ჩვენი რესპუბლიკა უსწრებს საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს და ამით მცირდება წარსულში წარმოშობილი ჩამორჩენა საერთო ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების დონეში, იზრდება რესპუბლიკის მშრომელთა წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ-პოტენციალის გადიდებაში. მაგალითად, გასული სამი წლის მანძილზე ერთ მოსახლეზე წარმოებული ეროვნული შემოსავლის ოდენობით საშუალო საკავშირო დონისგან არსებული ჩამორჩენა 4,9 პროცენტით შეიცირდა. რესპუბლიკის მშრომელებს მეათე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის აღაფრთოვანებს სკკ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციების შესახებ.

ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის საქართველოს მშრომელებმა ზედიზედ 8-ჯერ დაიმსახურეს სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲔᲑᲘᲡ წლებში საქართველოს სსრ ეკონომიკის დინამიკურმა განვითარებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის. 1956_1978 წლებში რესპუბლიკაში ეროვნული შემოსავლის წარმოება ერთ სულზე გაანგარიშებით 3,2-ჯერ ამაღლდა.

ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად იზრდება მშრომელთა რეალური შემოსავალი. 1966-1978 წლებში საქართველოს მოსახლეობის რეალური შემოსავალი (ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით) 83,4 პროცენტით გადიდდა.

სახალხო მეურნეობაში მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 1960-1978 წლებში 74,8-დან 184,2 მანეთამდე გადიდდა, ხოლო მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული დახმარებისა და შეღავათების დამატებით—105-დან 190 მანეთამდე. სისტემატურად იზრდებოდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება.

მშრომელთა შემოსავლის სისტემატურმა ზრდამ განაპირობა მისი მოხმარების მოცულობის მატება და უკეთესი სასურსათო და მაღალხარისხოვანი სამრეწველო პროდუქტების მოხმარების ხვედრითი წონის ამაღლება. 1940-1978 წლებში საქართველოს სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 6-ჯერ და მეტად გაიზარდა.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲔᲑᲘᲡ პერიოდში ფართო მასშტაბით ხორციელდებოდა საბინაო მშენებლობა. სულ უფრო მრავალფეროვანი და ხარისხიანი ხდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ „ყურადღებას აქცევენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას, მეცნიერების განვითარებას, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის აყვავებას.

გადაუდებელი ამოცანაა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის თეორიისა და მეთოდოლოგიის შემდგომი სრულყოფა, პრაქტიკული გამოცდილების გამდიდრება, დაგეგმვის სრულყოფის ძირითადი მიმართულება, მისი ჰორიზონტის გაფართოება, ეკონომიკის განვითარების დაგეგმვის ფართოდ დანერგვა, ამ დარგში მათემატიკური მეთოდების და ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის საფუძველზე მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნა, დარგობრივი და ტერიტორიული ასპექტების მართებულად შეხამება, რეგიონალური გამოკვლევებისა და გამოყენებითს წინადადებათა სისტემატური გაფართოება.

საქართველოს სწავლულ ეკონომისტთა და საგეგმო ორგანოების მუშაკთა გაერთიანებული ძალებით შედგენილია ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების პროგნოზი და გრძელვადიანი გეგმის საფუძვლები 1990 წლამდე. ამჟამად მიმდინარეობს გამოკვლევები 2000 წლამდე, რესპუბლიკური მასშტაბით პროგნოზისა და გრძელვადიანი გეგმის შემუშავებისათვის, კერძოდ, მისი რეგიონების განვითარების მიმართულებათა დასაბუთებისათვის. ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად, აღსანიშნავი იუბილე წარმატებით უნდა გამოვიყენოთ ნაკლოვანებათა გამოსავლინებლად, დაბრკოლებათა დასაძლევად და წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად.



ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ

ᲪᲮᲕᲐᲠᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ!

Ბ. ᲭᲙᲭᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ბ. ᲗᲝᲓᲝᲠᲘᲐ,

(„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ).

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ეს ორი ჭაბუკი ჯ. ჩიტიშვილი და ნ. ნიკოლაშვილი იმათთგანი არიან, ვინც სკოლის დამთავრების შემდეგ ცხვარში წავიდა; ცხვარიც მეტი მყავს თმაზედაო, — უხარია ლენინგორელ მწყემსს.

Ბ. ᲒᲝᲒᲝᲑᲘᲐᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲗᲐ ᲧᲣᲚᲐᲑᲐ

ᲨᲔᲯᲐᲛᲓᲐ წლის პირველ ნახევარში საქართველოს მრეწველობაში რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის მუშაობა. შემოტანილია 800-ზე მეტი ტექნიკური სიახლე, რომელთა მესამედი უკვე დანერგილია წარმოებაში.

ამჟამად რესპუბლიკაში ოცდაათი ათასამდე გამომგონებელი და რაციონალიზატორი, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა 800-ზე მეტი კომპლექსური ბრიგადაა.

— სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის პირობებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დაგეგმვის შესაძლებლობანი შეიქმნა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ყიფიანმა. — საგეგმო საწყისი განსაკუთრებით სრულად ვლინდება ეგრეთწოდებული სამსახურებრივი გამოგონებებით. ეს გამოგონებები, რომელთა წილად 80 პროცენტზე მეტი მოდის და რომლებიც შესრულებულია უმთავრესად სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სახელმწიფო გეგმის, ახალი ტექნიკის დამუშავებისა და დანერგვის გეგმების შესაბამისად, ძირითადად წყვეტს მეცნიერული და საწარმოო კოლექტივების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

ᲛᲐᲥᲘᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲧᲣᲚᲐᲑᲐ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Ვ. ᲛᲔᲚᲥᲐᲫᲔ,

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ. Ვ. ᲐᲓᲕᲐᲫᲔ,

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡᲛᲘᲙᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲜᲔᲑᲘ

ᲓᲘᲓᲘ სამამულო ომის წლებში საქართველოს ეკონომიკაც სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. ფრონტს ემსახურებოდა როგორც მძიმე, ისე მსუბუქი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ჩვენმა რესპუბლიკამ თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში.

მეორე ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲗ დამთავრდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი. ძირეულ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა შედეგად მოისპო კაპიტალისტური საკუთრება და ექსპლოატატორული კლასები, დამკვიდრდა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის სისტემა.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲨᲘ (1938_1941 წ.წ.) ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობდა საქართველოში ახალ ინდუსტრიულ საწარმოთა ასაგებად. მწყობრში ჩადგა ტყვარჩელის რაიონული ელექტროსადგური, ცანის სამთო მეტალურგიული კომბინატი, ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, თბილისის საყოფაცხოვრებო ქიმიისა და მომინანქრებული ჭურჭლის ქარხნები, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი, საშინ მასალათა საწარმოები, ჩაის ფაბრიკები, ღვინის ქარხნები და სხვ.

მთლიანად საქართველოს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1940 წელს 1928 წელთან შედარებით 8,2-ჯერ გადიდდა, ხოლო 1913 წელთან შედარებით — 10,2-ჯერ. ეს მნიშვნელოვნად აღემატებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. ომამდელი ხუთწლედების შედეგად საქართველო აგრარულიდან მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად იქცა.

1940 წელს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო რესპუბლიკის ყველა გლეხური მეურნეობის 94,1 პროცენტი და მათ წილად მოდიოდა ნათესი ფართობების 99 პროცენტი.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲨᲘ დიდი სამუშაოები გაჩაღდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. აიგო და სიექსპლოატაციოდ გადაეცა მთელი რიგი სარწყავი არხები, მიმდინარეობდა სამგორის დიდი საირიგაციო მშენებლობა, განახლდა კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები.

ᲛᲔᲔᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲗ (1966-1970 წ.წ.) გრძელდებოდა რესპუბლიკის ინდუსტრიული ზრდა, მწყობრში ჩადგა იხეთი მნიშვნელოვანი საწარმოები, როგორიც არის მე-8 შახტი ტყვარჩელში, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელი ქარხანა, საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხანა ,ლილოში, თბილისის მმართველი გამომთვლელი მანქანების ქარხანა, ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი მეორე ქარხანა და სხვ. მთლიანად სამრეწველო წარმოების მოცულობა ხუთწლედში 58 პროცენტით გაიზარდა.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

ᲘᲕᲚᲘᲡᲨᲘ შესრულდა ნახევარი საუკუნე, რაც საქართველოს კომპარტიის VI ყრილობამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა მიიღო.

ჭეშმარიტად საუკუნეთა ბადალია გზა, რომელიც ხუთწლედების მანძილზე განვლო საბჭოთა საქართველომ.

გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე უკანასკნელ თვეებში სისტემატურად ქვეყნდებოდა მასალები რუბრიკით „ხუთწლედების სიკეთე“. საქართველოს პირველი ხუთწლედის მიღების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ მასალებს გაეცნობით დღევანდელი ნომრის 1, 2, 3 და 4 გვერდებზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲗᲐ ᲑᲐᲓᲐᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, Ვ. ᲛᲔᲚᲥᲐᲫᲔ,

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ. Ვ. ᲐᲓᲕᲐᲫᲔ,

ᲓᲘᲓᲘ სამამულო ომის წლებში საქართველოს ეკონომიკაც სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. ფრონტს ემსახურებოდა როგორც მძიმე, ისე მსუბუქი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ჩვენმა რესპუბლიკამ თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში.

მეორე ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲗ დამთავრდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი. ძირეულ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა შედეგად მოისპო კაპიტალისტური საკუთრება და ექსპლოატატორული კლასები, დამკვიდრდა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის სისტემა.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲨᲘ (1938_1941 წ.წ.) ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობდა საქართველოში ახალ ინდუსტრიულ საწარმოთა ასაგებად. მწყობრში ჩადგა ტყვარჩელის რაიონული ელექტროსადგური, ცანის სამთო მეტალურგიული კომბინატი, ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, თბილისის საყოფაცხოვრებო ქიმიისა და მომინანქრებული ჭურჭლის ქარხნები, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი, საშინ მასალათა საწარმოები, ჩაის ფაბრიკები, ღვინის ქარხნები და სხვ.

მთლიანად საქართველოს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1940 წელს 1928 წელთან შედარებით 8,2-ჯერ გადიდდა, ხოლო 1913 წელთან შედარებით — 10,2-ჯერ. ეს მნიშვნელოვნად აღემატებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. ომამდელი ხუთწლედების შედეგად საქართველო აგრარულიდან მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად იქცა.

1940 წელს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო რესპუბლიკის ყველა გლეხური მეურნეობის 94,1 პროცენტი და მათ წილად მოდიოდა ნათესი ფართობების 99 პროცენტი.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲨᲘ დიდი სამუშაოები გაჩაღდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. აიგო და სიექსპლოატაციოდ გადაეცა მთელი რიგი სარწყავი არხები, მიმდინარეობდა სამგორის დიდი საირიგაციო მშენებლობა, განახლდა კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები.

ᲛᲔᲔᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲗ (1966-1970 წ.წ.) გრძელდებოდა რესპუბლიკის ინდუსტრიული ზრდა, მწყობრში ჩადგა იხეთი მნიშვნელოვანი საწარმოები, როგორიც არის მე-8 შახტი ტყვარჩელში, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელი ქარხანა, საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხანა ,ლილოში, თბილისის მმართველი გამომთვლელი მანქანების ქარხანა, ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი მეორე ქარხანა და სხვ. მთლი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ

ᲛᲔᲙᲐᲙᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲔᲙᲐᲙᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

აღინიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა განხორციელდა მეკაკლეობის განვითარებისა და კაკლოვანთა ფართობების გადიდებისათვის. 1970-1978 წლებში რამდენადმე გაიზარდა კაკლოვანთა ფართობები გურჯაანის, თელავის, კასპის, ბოლნისის, ორბელის, გალისა და სხვა რაიონებში. განხორციელდა სამუშაოები აგრეთვე საავტომობილო გზების გასწვრივ კაკლოვანთა გასაშენებლად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და თბილისის სატყეო ინსტიტუტის მიერ მოწყობილი სელექციური მუშაობის მეოხებით 1972-1978 წლებში რესპუბლიკაში გამოვლენილი და აპრობირებულია უხვმოსავლიანი კაკლის ზეები. რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის საწარმოებმა გამოიყენეს კაკლის ნამყენი სტანდარტული ნერგები, რომლებსაც საუკეთესო მემკვიდრეობითი თვისებები აქვს. ეს ნერგები გაშენებულია სადედე პლანტაციებად 25 ჰექტარზე და ჩვეულებრივ პლანტაციებად — 300 ჰექტარზე.

ამავე დროს ბევრ რაიონში სრულიად არაადამაყოფილებლად იყენებენ ხელშემწყობ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს მეკაკლეობის განვითარებისათვის. არსებითად იფუშება რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში კაკლოვანთა გაშენების 1977-1980 წლების დაგალებანი. დამაკმაყოფილებლად არ უვლიან ნარგავებს, მცირეა მათი მოსავლიანობა. მაგალითად, კაკლისა და თხილის ნაყოფის გამოსავლიანობა ჰექტარზე რესპუბლიკაში 1-2 ცენტნერს არ აღემატება, სინამდვილეში კი 20 ცენტნერამდე ნაყოფი შეიძლება მივიღოთ.

კაკლოვანთა დაცვის სუსტი ორგანიზაციის გამო საზოგადოებრივ სექტორში შეიმჩნევა კაკლისა და თხილის მოსავლის სისტემატური დატაცება, მათი ყოველწლიური დამზადება რესპუბლიკაში მხოლოდ 350-400 ტონაა, მოთხოვნილება კი 40 ათას ტონას აღემატება.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო აგრეთვე მეტად უმნიშვნელო რაოდენობის კაკლოვანებს აშენებს საავტომობილო გზების პირას, თუმცა ამ მიზნით რესპუბლიკაში შეიძლება გამოვიყენოთ 6 ათას კილომეტრამდე გზა (მათ შორის ადგილობრივი დანიშნულების გზები).

დღემდე ფართო მასშტაბით არ არის მოწყობილი სელექციური ნერგების წარმოება როგორც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ისე სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემაში. ამის შედეგად კაკლოვანი კულტურების ბაღების, პლანტაციებისა და ცალკეული ნარგავების გაშენება კვლევინდებურად წარმოებს მასობრივად აღებული თესლითა და ჩვეულებრივი ნერგებით, რომელსაც გენეტიკურად შეუსწავლელი ჯიშებისა და ფორმებისაგან იღებენ, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ნარგავთა მოსავლიანობასა და მეკაკლეობის რენტაბელობაზე.

კაკლოვანთა ჯიშები ჯერ კიდევ საკმარისად არ შეაქვთ მინდორსაცავი ზოლების შედგენილობაში, რომლებსაც ქმნიან კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ეროზირებულ მიწებზე.

რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი სუსტად მუშაობენ სელექციის შედეგად მიღებული კაკლოვანთა ძვირფასი ჯიშებისა და ფორმების გამრავლებისა და წარმოებაში დანერგვის საკითხებზე. უხვმოსავლიანი ფორმებისა და ჯიშების შერჩევისა და გამოყენების დროს ნაკლები ყურადღება ეთმობა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ კაკლის ჯიშების მედეგობის საკითხებს.

რესპუბლიკაში მეკაკლეობის ძირეული გაუმჯობესებისა და კაკლოვანთა ფართობების გადიდების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს დაავალეს კაკლოვანთა ჯიშების გამრავლების სამუშაოთა ძირითად მიმართულებად მიიჩნიონ მათი გადაყვანა ჯიშობრივ სელექციურ საფუძველზე და ნარგავთა გაშენებისა და მოვლა-პატრონობის აგროტექნიკის ყოველნაირი ამაღლება, კაკლისა და თხილის სელექციური ნერგების გამოყენებას თავი მოუყარონ მეურნეობებში, რომელსაც ძვირფასი სადედე სანერგეები აქვთ. ამ მიზნით მაქსიმალურად გამოიყენონ საცდელი მეურნეობებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების შესაძლებლობანი; კაკლოვანები გააშენონ მხოლოდ ნამყენი ნერგებით, უზრუნველყონ, რომ თხილის ნარგავების ჯიშობრივი შემადგენლობა მთლიანად შეესაბამებოდეს დარაიონებულ სორტამენტს; 1981-1990 წლებში გაფართონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მინდორსაცავ ზოლებში კაკლოვანთა ჯიშების გაშენების სამუშაოთა მოცულობა, უზრუნველყონ ჩრდილო კაკლის კორომებში მეურნეობის გაძღოლის გაუმჯობესების საჭირო აგროტექნიკური და სატყეო სამუშაოების დროული ჩატარება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ნარგავების გადაძოვისაგან დაცვას, სასუქების გამოყენებას, მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვას.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს საავტომობილო გზების გასწვრივ კაკლოვანთა მაქსიმალური გაშენება, შექმნას კაკლის ნამყენი ნერგების გამოსაყენებლად სპეციალიზებული სატყეო სანერგე მეურნეობა.

ნამყენი ნარგავების წარმოებისათვის კაკლის სადედე სანერგეების საექსპლოატაციოდ გადაცემამდე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და საავტომობილო გზების სამინისტროებს ნება მიეცათ ყოველწლიურად შეიძინონ საჭირო რაოდენობის კაკლის კალმები და სოფლის მოსახლეობის აპრობირებული ხეებიდან დამზადებული სათესლე კაკალი შესყიდვის ადგილას საკოლმეურნეო ბაზრის ფასებით.

კაკლისა და თხილის დამზადების მოცულობის გადიდებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობებისა და მოსახლეობის მატერიალური დაინტერესების მიზნით საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო სამეურნეო საგეგმო კომიტეტს დაეკალათ შეიმუშაონ მათი ახალი შესასყიდი და საცალო ფასები.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ სისტემატურად განიხილონ მეკაკლეობის განვითარების საკითხები, ყოველ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, სადაც კაკლოვანები შენდება, უზრუნველყონ სპეციალიზებული ბრიგადებისა და რგოლების შექმნა მათი მოვლისათვის.

ფართოდ უნდა ჩაბან სოფლის ახალგაზრდობა და მოსწავლენი კაკლოვანთა გაშენების, დაცვისა და მათი მოვლის სამუშაოებში, ამ მიზნით გამოიყენონ სკოლების, ინტერნატების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ტერიტორიები.

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურ გამგეობას, საქინფორმს, რესპუბლიკურ, საქალაქო და რაიონული გაზეთების, ჟურნალების „საქართველოს ბუნების“, „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ რედაქციებს წინადადება მიეცათ სისტემატურად გააშუქონ კაკლოვანთა გაშენების, დაცვისა და მათი მოვლის საკითხები, ფართო პოპულარიზაცია გაუწიონ ამ საქმეში მოწინავეთა გამოცდილებასა და მეცნიერების მიღწევებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია ჩვენს რესპუბლიკაში მეკაკლეობის შემდგომი განვითარებისა და კაკლოვანთა ფართობის გადიდების სხვა კონკრეტული ღონისძიებანიც. (საქინფორმი).

ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲛᲝᲪᲮᲜᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. გაიმართა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელმაც განიხილა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის ამოცანები სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „დეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვის, აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და სომხეთის იურიდიული კონსულტაციების ადვოკატების წარმომადგენლები.

ადვოკატურის მუშაობის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი მოხსენებები და ინფორმაციები გააკეთეს მოსკოვის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმთან არსებული სასამართლო დაცვის საზოგადოებრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. პოლიაკმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა გ. ინგორვერამ, აზერბაიჯანისა და სომხეთის ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმების თავმჯდომარეებმა ა. აბდულიევმა და გ. თათევოსიანმა.

კონფერენციაზე მიიღეს ადვოკატურის საქმიანობის გაუმჯობესების რეკომენდაციები.

(ᲮᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ)

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1113“

1979 ᲬᲚᲘᲡ 10 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1113“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდისი).

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲗᲐ ᲑᲐᲓᲐᲚᲘ

ᲐᲘ, ᲠᲐ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔ, ᲩᲔᲛᲝ

ᲐᲮᲚᲘᲡ წელიწადზე მეტია, რაც საქართველოში ქვანახშირის მოპოვება დაიწყო. ეს იყო ტყიბულში. პირველი მსოფლიო ომის წინა წელს 70 ათასი ტონა ქვანახშირი იყო ამოღებული. საბჭოთა ხუთწლედების მანძილზე ტყიბულის გარდა, რომელიც ერთიანად რეკონსტრუქრებულია, მსხვილი მექანიზებული შახტები შეიქმნა ახალ ინდუსტრიულ ცენტრებში — ტყვარჩელსა და ვალეში. 1928 წელს რესპუბლიკაში 85 ათასი ტონა ქვანახშირი მოინგრა, შარშან კი ქართველ მეშახტეებს

ᲪᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ

რამდენიმე დღე დასჭირდათ ამდენივე საათობის ამოსაღებად. აი როგორი ნახტომი გააკეთა ქვანახშირის მრეწველობამ საქართველოში.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ტყვარჩელი აფხაზეთის მთებში დიდი ლენინის ანდერძით აიგო. იგი მალე ავტონომიური რესპუბლიკის ინდუსტრიული ცენტრი გახდა და მეხუთე ათეული წელია მაღალხარისხოვან ქვანახშირს აწვდის სახალხო მეურნეობას.

ტყვარჩელის მშენებლობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმით განხორციელდა. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის, უკრაინისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკების მშრომელები. მეშახტეთა ეს ქალაქი საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური თანამშრომლობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

ხუთ წელზე მეტ ხანს მიმდინარეობდა შეუპოვარი ბრძოლა წიაღისეულის ათვისებისათვის. გაყვანილი იქნა რკინიგზის შტო — ოჩამჩირე-კვეზანა, საავტომობილო გზა კვეზანასა და აკარმარას შორის, აშენდა სატვირთო სამაგრო სამგზავრო გზა და საცხოვრებელი სახლები.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა კადრების მომზადება იყო. აფხაზები და ქართველები რუს, უკრაინელ და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების მხარდამხარ შრომობდნენ, იძენდნენ ახალ სპეციალობებს. ამას დიდად შეუწყო ხელი სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში 1931 წელს სამთო გასაყოფილების გახსნამ, ტყვარჩელში მბურღავების, მნგრეველების, მებეგეების, მემანქანეებისა და ზეინკლების მოკლეკადიანმა კურსებმა. ბევრმა ტყვარჩელელმა საწარმოო პრაქტიკა გაიარა დონბასის, ხარკოვისა და ლენინგრადის საწარმოებში. ამ გზით ადგილობრივ მეცხოვრებთა ხარჯზე ყოველწლიურად იზრდებოდა მუშებისა და ტექნიკური ინტელიგენციის რიცხვი.

დიდი ტრადიციით სუნთქავს დღეს პირველი ხუთწლედის პირმშო — ინდუსტრიული ტყვარჩელი. აქ სიყვარულის ჯრძნობითა და პატივისცემით იხსენებენ მის შემქმნელ გმირთა სახელებს, რომელთა ცხოვრებაც კომუნისტური მშენებლობის უსაზღვრო ერთგულების, სამშობლოსათვის თავდადებისა და თავგანწირვის მაგალითებით არის აღსავსე.

ბევრი მათგანი ადგილზეა, კვლავ მწყობრშია, ახლაც, მეათე ხუთწლედის მჩქეფარე დღეებში უახლეს ტექნიკას დაუფლებული ახალგაზრდების გვერდით თავდადებით შრომობს ქალაქის სხვადასხვა საწარმოში.

აი რა მოგვითხრო ზოგიერთმა მათგანმა.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲮᲣᲜᲢᲐᲕᲐ: ბავშვობიდანვე ვიცნობდი ტყვარჩელის გზას. მამაჩემთან და ნათესავებთან ერთად ჩავდიოდი სოფელ აკვასკიდან სამკურნალო აბანოებში. სამუშაოდ კი 1929 წლის მაისში ჩავედი. მაშინ უკვე 23 წლის ვიყავი. აქ იმ დროს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებთან ერთად № 1 შახტი შენდებოდა. მუშად მომიღეს და დონბასიდან ჩამოსულ გამოცდილ მეშახტეებს დიმიტრი ხრუკალოვს და ალექსანდრე კორიტოვს მომბაარეს. წერაქვითა და ძალაყინით მონგრეულ ქვანახშირსა და შლამს ტომრებში ვყრიდით, ზურგით გამოგვქონდა საცალფეხო ბილიკამდე, იქიდან კი ცხენებით ეზიდებოდნენ საურმე გზაზე, ცოტა ხნის შემდეგ შეგვარჩიეს 100 ახალგაზრდა და მეშახტის პროფესიების შესასწავლად დონეცკში — გორლოვკაში გაგვაგზავნეს. ჩემთან ერთად იყვნენ ვლადიმერ ლაკობა, ვლადიმერ კვირკველია, დავით აშუბა, გეგე ბასილაია და სხვები.

უკრაინელი მუშებისა და ინჟინრების დახმარებითა და ხელმძღვანელობით სამ თვეს ვეუფლებოდით საქმეს. მერე კვლავ ტყვარჩელს დავუბრუნდით და ისევ შახტის მშენებლობაში ჩავებით. მშენებლობა მძიმე პირობებში გვიხდებოდა კვეზანიდან აკარმარისაკენ, სადაც ჩვენ ვმუშაობდით, მწყემსების მიერ გაკვალული ერთადერთი საცალფეხო ბილიკი გადიოდა. ამ გზით გადმოჭრონდათ მასალები და დანადგარები, საკვებ პროდუქტებს ოჩამჩირიდან ეზიდებოდნენ ცხენებით. მიუხედავად სიძნელეებისა, მშენებლები და მეშახტეები დიდი მონდომებითა და ენთუზიაზმით ვმუშაობდით, თანამოსაქმეებთან ერთად ვეუფლებოდი საწარმოო ტექნიკას, მივაღწიეთ კულტურულ-ტექნიკურ დონეს. სისტემატურად გადაჭარბებით ვასრულებდი საწარმოო დავალებას, მე და ჩემი ბრიგადის წევრები ქვანახშირის ფენათა მოპობადებაზე ვმუშაობდით. 1935 წლის ივნისისათვის შახტის მშენებლობა ძირითადად დამთავრდა. ეს დიდად სასიხარულო მოვლენა იყო აფხაზეთისა და რესპუბლიკის ცხოვრებაში.

1937 წლისათვის ჩვენი ბრიგადა საუკეთესო სტახანოვურ ბრიგადად ითვლებოდა ტყვარჩელში. თავდადებული შრომა დამფასეს პარტიამ და ხალხმა. 1937 წლის 12 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ამირჩიეს. უფრო გვიან კი დამაჯილდოვეს ლენინის ორდენით, რომელიც პირადად მ. ი. კალინინმა გადმომცა. ეს იყო ჩემი ცხოვრების დაუვიწყარი დღეები. მომდევნო წელს მოსკოვის სამრეწველო აკადემიის მოსამზადებელ კურსებზე გამგზავნეს. 1940 წელს აკადემიის დასურვის გამო გადავედი საკავშირო სამთო ტექნიკუმში, მაგრამ სამამულო ომის დაწყებისთანავე ტყვარჩელში დამაბრუნეს. აქ შახტის მეშვიდე უბნის უფროსის თანაშემწედ დამნიშნეს, შემდეგ შახტის პარტიბიუროს მდივნადაც ამირჩიეს. მაგრამ ჩემს პროფესიას არ ვივიწყებდი. 1942 წლის 8 თებერვალს შახტში სამუშაოდ ჩავედი და ბურღვაში თვალსაჩინო რეკორდი დავამყარე — ერთ ცვლაში გავბურღე 4 სანგრევი და ხუთნახევარ საათში ცვლის ნორმა 2.060 პროცენტით შევასრულე. ეს რეკორდი წითელი არმიის 24-ე წლისთავს მივუძღვენი და გამომუშავებული 345 მანეთი თავდაცვის ფონდს გადავეცი.

იმავე წელს ტყვარჩელის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ ამირჩიეს, ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდშიც ბრძოლა ჩავდიოდი შახტში და ახალ რეკორდებს ვამყარებდი. ომის წლებში ჩემთან აღმასკომში მომუშავე კომკავშირელებთან ერთად შაბათ-კვირას შახტში ჩავდიოდით სამუშაოდ და ჩვენს მიერ გამომუშავებული თანხა მთლიანად თავდაცვის ფონდში შეგვქონდა.

აფხაზეთის სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის, საპატიო მეშახტის წოდებები მომენიჭა. 1956 წლიდან პერსონალური პენსიონერი ვარ, მაგრამ შინ რა გამაჩერებს, ტყვარჩელის ტექნიკური მომარაგების ბაზაში ვმუშაობ.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲓᲔᲚᲐᲒᲘ: 1932 წელს კომკავშირული საგზურით ოჩამჩირიდან ტყვარჩელში ჩამოვედი. მე და ჩემი მეგობრები აკაკი კაკაბაძე და ვლადიმერ რევიშვილი ერთ პეტარა ქოხში ვცხოვრობდით. მუშათა სასადილოს მოწყობა მომანდეს. ეს დავალება პირნათლად შევასრულე. შემდეგ შემნახველი სალაროს გამგედ გადამიყვანეს. აქვე შეთავსებული მქონდა სამშენებლო ბანკის ოპერაციების ჩატარებაც. რადგანაც აქ ბანკი ჯერ არ იყო, მუშებისთვის ფული ოჩამჩირიდან ცხენით ჩამოგვქონდა და მეშახტეებს მშენებლობაზე ვურიგებდით ხელფასს. მერე კადრების განაყოფლებაში გადამიყვანეს. იქ მუშების ჩამოყვანისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე გაგზავნის საქმეს ვხელმძღვანელობდი. სამამულო ომი დაიწყო, ფრონტზე წავედი. დაბრუნების შემდეგ კვლავ განვაგრძე მუშაობა. თუმცა პენსიონერი ვარ, „ტყვარჩელგაზის“ კანტორას ვხელმძღვანელობ.

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ: ოჩამჩირის საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, მერე სწავლის გასაგრძელებად ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ტექნიკუმში გამგზავნეს, რომელიც 1932 წელს დავამთავრე. შინ რომ დავბრუნდი, ელექტროსამონტაჟო საამქროს უფროსად დამნიშნეს. კვეზანის დიზელის ელსადგურიდან, რომელიც ახალდამონტაჟებული იყო, აკარმარამდე გავიყვანეთ ელექტრობაზი და № 1 შახტის ზევით პირველი ქვესადგური ავაშენეთ. შემდეგ შახტებში ვაწარმოებდით ელექტროსამონტაჟო სამუშაოებს. ახლაც სპეციალობის მიხედვით ვმუშაობ და პარტიულ ორგანიზაციას ვხელმძღვანელობ.

ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი იმ ადამიანის ცხოვრება გაგაცანით მოკლედ, რომლებიც ტყვარჩელის შახტებს, სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურსა და ქალაქს აშენებდნენ. ასეთნი კი ასობით და ათასობით იყვნენ. სწორედ მათ სახელოვან გზას აგრძელებენ დღეს ტყვარჩელელი მეშახტეები.

Ი. ᲒᲝᲒᲝᲔᲩᲘᲐ.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲓᲦᲔᲓᲐᲛᲔᲨᲘ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲕᲐ

	1928 წ.	1978 წ
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ (ᲐᲗᲐᲡᲘ ᲙᲘᲚᲝᲕᲐᲢᲘ)	114,8	34454
ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲓᲐᲜᲘ (ᲢᲝᲜᲐ)	470,7	5881
ᲓᲐᲮᲐᲠᲘᲚᲘ ᲮᲔᲚ-ᲢᲧᲔ (ᲙᲣᲑ. ᲛᲔᲢᲠᲘ)	219,2	—
ᲢᲧᲐᲒᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲡᲐᲪᲘᲔᲚᲘ (ᲬᲣᲕᲘᲚᲘ)	556,2	41000
ᲙᲝᲜᲔᲠᲒᲔᲑᲘ (ᲐᲗᲐᲡᲘ ᲞᲘᲠᲝᲒᲘᲗᲘ ᲫᲘᲚᲐ)	3,6	1066
ᲑᲐᲜᲘᲡᲐᲠᲝ ᲩᲐᲜ (ᲢᲝᲜᲐ)	0,7	308
ᲞᲐᲞᲘᲠᲝᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲑᲐᲢᲘᲡ (ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲪᲐᲚᲘ)	5,84	52,5
ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡᲞᲐᲠᲔᲚᲘ ᲩᲐᲠᲮᲔᲑᲘ (ᲪᲐᲚᲘ)	—	11
ᲡᲐᲥᲕᲘᲠᲘᲗᲝ ᲐᲒᲠᲝᲛᲝᲜᲘᲚᲔᲑᲘ (ᲪᲐᲚᲘ)	—	56
ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲦᲠᲘᲜᲘ (ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲯᲐᲚᲘᲢᲠᲘ*)	—	19,2
ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ (ᲐᲗᲐᲡᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲚᲘᲢᲠᲘᲐᲜᲘ)	—	1251

* რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ.

ᲛᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲒᲚᲘᲗᲘᲗᲘ

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲦᲐᲚᲐᲜᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲝᲗᲐᲠ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ... სხვადასხვა ადამიანები, განსხვავებულნი ასაკით, შეხედულებებით, განსხვავებულნი თავიანთი საქმიანობით. და კაცი იფიქრებს, რა აქვთო საერთო.

ამ ორი ადამიანის სახელი მტკიცედ დაფუძნდა იმ ღირსეულ ადამიანთა სახელებს შორის, რომლებმაც საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობაზე პატიოსნად მიიტანეს და საშვილიშვილოდ დადეს თავიანთი წილი აგური.

ვალერიან ღაღანიძე... უკვე ხანდაზმული კაცი. დღეს „ორგწყალმშენის“ ტრესტის ექსპერტი და მთავარი სპეციალისტი ახლაც მხნედ და ხალისით მუშაობს. ის ხომ მშენებლობაზე თითქმის ყოველთვის უფროსად მუშაობდა. მას ეკითხებოდნენ, იგი წარმართავდა საქმიანობას.

თბილისის „ჰიდროენერგოპროექტის“ განყოფილებაში უფროს ინჟინრად იყო. დიდი სამამულო ომის დროს მთავრობის მითითებით სპეციალურ სამუშაოებზე გადაიყვანეს.

მერე ყარაიაზის (დღევანდელი გარდაბნის) სარწყავი სისტემის აგებას ედგა სათავეში, ჩითახევ-ჰესიც ააშენა. ერთხანს „ინგმშენის“ ტრესტის მმართველი იყო.

ვალერიან ღაღანიძეს სახელად ისიც ეყოფა, რომ სამგორის სარწყავი არხები გაჰყავდა და სარწყავი სისტემის მშენებლობას ედგა სათავეში.

მთავარი სათქმელი ბოლოსთვის შემოვინახეთ: როცა საბჭოთა ქვეყანა მუხლს იმაგრებდა, როცა დაიწყო პირველი აღმშენებლობითი ხუთწლედები და ქუხდა სტახანოვისა და მისი მიმდევრების სახელები, ვალერიან ღაღანიძე საქართველოს მძიმე მრეწველობის მშენებლობის ინჟინერთაგან ერთ-ერთი პირველი გახდა სტახანოველი.

ახალგაზრდა ჰიდროინჟინერი აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე მოხვდა. ჯერ უმცროს ინჟინრად იყო, შემდეგ — სამუშაოთა მწარმოებლის თანაშემწედ მეორე გვირაბის საამშენებლო უბანზე, მერე სამუშაოთა მწარმოებელი გახდა და ბოლოს უბნის უფროსად დანიშნეს. ერთი სიტყვით, დაადგა გზას „ჯარისკაცობიდან გენერლობამდე“.

როგორ მიაღწია სტახანოვური მეთოდებით მისმა ბრიგადამ შრომის მაღალ ეფექტს, ამის შესახებ გვეუბნება იმდროინდელი, 1935 წლის პრესა:

„ვალერიან ღაღანიძემ მთელი ძალები და შემოქმედებითი უნარი იქითკენ წარმართა, რომ თანამიმდევრულად და დროულად მოემზადებინა სამუშაო ნიადაგი, სწორად გაენაწილებინა სამუშაო ძალები, მაქსიმალურად დაეტვირთა თითოეული დღე, მთლიანად შრომის პროცესი“.

ოთარ ლომიძე... იგი პირველად 1955 წელს ჩამოვიდა რუსთავში. მეფოლადეობა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. ვეფხია ხალიბაურიეთ რუსეთში არ მოუწია ამ ხელობის შესწავლა. მეტალურგიულ ქარხანას მშვენიერი პროფტექნიკური სასწავლებელი აქვს. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჯერ მეფოლადის მესამე თანაშემწე იყო, შემდეგ მეორე, პირველი და მერე ნამდვილი მეფოლადე გახდა.

1959 წლიდან სათავეში ჩაუდგა მარტენის სამაქრის № 7 ღუმელის კომკავშირულ ბრიგადას.

იყო ოსტატი, ცვლის ოსტატი, მერე ცვლის უფროსი. არ ვიცით, ოცნებობდა თუ არა ამაზე, მაგრამ ჯარისკაცი გენერალი გახდა, სწორედ იმგვარად, როგორც მისი წინაპარი და წინამორბედი.

ოთარ ლომიძეს ცხოვრებაში მისი ალალი მარჯვენა უკადგა გზას. როცა ახსენებენ ცნობილ მეფოლადეებს ამირან ფანცულაიას თუ მიხეილ სპანდერაშვილს, შალვა კუხალაშვილს თუ ლადო მტრეველს, იქვე ახსენებენ ოთარ ლომიძესაც, რომელმაც ახალი ელვარება შესძინა მეფოლადის ცეცხლოვან სახელს.

დღეს ოთარ ლომიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირია, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და კომუნისტური შრომის დამკვრელია.

რუსთაველი მეტალურგები ბევრი სასახელო საქმის ინიციატორები, ან თაოსნობათა აქტიური მხარდამჭერები არიან ხოლმე.

პირველად მათ თქვეს: არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!

ისიც თქვეს: გიმუშაოთ ჩამორჩენილი ცვლის, უბნის, ბრიგადის გარეშეო!

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მეფოლადეებმა, რაც წამოიწყეს, აღასრულეს კიდევაც.

როცა დაიწყო კომუნისტური შრომის დამკვრელობა, სოციალისტური შეჯიბრების ამ ფორმას ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ რუსთაველი მეტალურგები

სიკეთე

ნლები

რესპუბლიკავ!

საბჭოთა ხუთწლედების ისტორია — ეს არის სსრ კავშირის უველა რესპუბლიკაში მძლავრი საწარმოო ძალების შექმნის, მეურნეობის უველა დარგში, სახელმწიფო მართვა-გამგეობის უველა რგოლში, მეცნიერებასა და ტექნიკაში კვალიფიციური კადრების შექმნის ისტორია.

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის 50-ე წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან“

საბჭოთა ტრანსპორტი როგორც სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელი დარგი, პირველი ხუთწლედისათვის ფაქტიურად არ არსებობდა, ახლა კი უიმისოდ ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია. რესპუბლიკის უველა რაიონი და სოფელი საავტომობილო მარშრუტებით არის დაკავშირებული ერთმანეთთან ან დედაქალაქთან. საზოგადოებრივი ტრანსპორტით ყოველდღიურად 1.825 მარშრუტი სრულდება, რომლის დროსაც 1.205 ათასი მგზავრი გადაჰყავთ. თუ 1940 წელს გადაყვანილი იყო 17 მილიონი მგზავრი, 1978 წელს ამ ციფრმა 550 მილიონს გადააჭარბა.

საბოცდაექვსი წლის ნიკოლოზ ცანავა დღესაც მხნედ, ახალგაზრდული გატაცებით უჭის ავტომობილის საჭეს და თავგზანად ემსახურება მგზავრებს. 48 წელიწადი დაუშრომლად და უაკარიოდ ატარა მან მანქანა. ვინ იცის, რა მარკის ავტომობილმა არ გამოიარა მის ხელში. ამ ხნის განმავლობაში 6 მილიონ კილომეტრზე მეტი გაირბინა მთასა და ბარში — მშენებლობებზე, ჩაის პლანტაციებსა თუ ზემო სვანეთის ციცაბოზე. ორ ათეულ წელზე მეტია ზუგდიდის ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლია.

ზუგდიდსა და მის მეზობელ რაიონებში თითქმის ყველა იცნობს ძია კოლას, მოკრძალებით ხვდება მას და მისალმების შემდეგ მის ჯანმრთელობას კითხულობს, — არა მიშავს, ჯერ კიდევ შემიძლია მუშაობა, ნახევარ საუკუნეს შევალევ ჩემს საყვარელ საქმეს და მერე ვნახოთ — ღიმილით უპასუხებს ნიკოლოზი.

ჯერ კიდევ 1927 წელს უჩვეულო გრძნობამ გაატაცა ახლად აღერებული ყმაწვილი, როცა პირველი ავტომობილი ნახა მშობლიურ რაიონში. გადაწყვიტა დაუფლებოდა მანქანის მართვას. მის ნათესავს ალ. ცანავას, რომელსაც ოციანი წლებიდან „ტტ-ფორდის“ ტიპის ხისმორბლებიანი მანქანა დაჰყავდა, გვერდით მოუჯდებოდა ხოლმე და ყველგან დაჰყვებოდა. 1930 წელს თბილისში გაემგზავრა ერთწლიან საშოფრო სკოლაში სასწავლებლად და წარმატებით დამთავრების შემდეგ იქვე, „ფორდის“ მანქანაზე დაიწყო მუშაობა.

ეს ის დრო იყო, როცა მშობლიურ რაიონში მტკიცდებოდა საკოლმეურნეო წყობილება, გულმა ზუგდიდისაკენ გამოუწია და მანქანა-ტრაქტორთა სადგურში (მტს) დაიწყო მუშაობა მძღოლად. პირველი ხუთწლედის იმ წლებში კულაკები ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ საკოლმეურნეო მშენებლობისათვის, და რა დივერსიებს არ მიმართავდნენ. მტრის ტყვეა სამჯერ მოხვდა ხელში, ერთხელ ნიკოლოზ ცანავას მანქანასაც. საბედნიეროდ, გასროლას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

— მაშინ რაიონის მთავარი აგრონომი ვარლამ ჩიქავა იყო, — იგონებს ნ. ცანავა. — ომის შემდეგ მიწვანის გამგის, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის მოუღლელმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. ამ ჭკვიანი აგრონომის შორსმჭვრეტელობის შედეგია, რომ ინგირის, ზედა ეფრისა და დარჩელის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, კახათის, ახალკახათის, ინგირის კოლმეურნეობებში გუგუნებენ სამამულო მარკის ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანები. აწ განსვენებული ვ. ჩიქავა იტყოდა ხოლმე, დრო დადგება და პლანტაციებში ხელის მძიმე შრომას მექანიზმები შესცვლიან, ამიტომ ჩვენც ჩაი ამთავიოთვე ისე უნდა გავაშენოთ, რომ მანქანებმა შეძლონო მუშაობა. ნიჭიერი აგრონომის ამ ჩანაფიქრმა ხორცი შეისხა.

კოლია ცანავა უშუალო მონაწილეა აგრეთვე ზუგდიდის პირველი დიდი სამრეწველო საწარმოს — ენგურის ცელულოზა-ქაღალდის ქარხნის (ამჟამად კომბინატის) მშენებლობისა. მაშინ ურმების ქარავნით დაჰქონდათ სამშენებლო მასალები, ქვა და ღორღი, კირი და ცემენტი, ხის მორები და დანადგარები. ბარი, ნიჩაბი, წერაქვი და ნაჯახი იყო იმდროინდელ მშენებელთა „ტექნიკა“, მაგრამ მონდომებამ, ნებისყოფამ და ენთუზიაზმმა გაიმარჯვა, ენგურის ნაპირზე აღიმართა ამიერკავკასიის ცელულოზა-ქაღალდის ერთადერთი ქარხანა.

ასე მისდევდა ფეხდაფეხ ხუთწლედებს ნიკოლოზ ცანავა.

მას რაიონში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა ჯერ დამკვრელის, შემდეგ სტახანოველის საპატიო წოდება. სამშობლოს წინაშე ნ. ცანავას დამსახურება მთავრობის ჯილდოებითა და მედლებით აღინიშნა. მრავალი წლის უავარიო მუშაობისათვის დაჯილდოებულია აგრეთვე სამკერდე ნიშნით. იგი მუშაობს მძღოლთა შორის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და მგზავრთა კულტურული მომსახურების დონის ამაღლებისათვის, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის წევრი და ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატია.

მეცხრე ხუთწლედის დავალებათა 3,5 წელიწადში შესრულებისთვის და სოციალისტურ შჯიბრებაში გამარჯვებისათვის მას კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მიენიჭა. ეს წოდება მეათე ხუთწლედის გასული წლის მაღალი მაჩვენებლებისათვისაც დაიმსახურა, წლეულს კი წარმატებით ამთავრებს პირად ხუთწლედს.

გ. ნოდია,

ექვსი მილიონი კილომეტრი

48 წელი საჭესთან



1. 1925 წელს დაიწყო და პირველი ხუთწლედის მანძილზე გრძელდებოდა ალაზნის არხის მშენებლობა.

2. ჭაობში იხრჩობოდა წარმტაცი კოლხეთი. 1931 წლიდან შეუდგნენ მის ამოშრობას.

3. ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობა თბილისის ახლოს 1928 წელს.

4. პირველ ხუთწლედში, 1930 წელს მოსკოვში საგასტროლოდ იყო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი, რომელმაც მაყურებელს უჩვენა „ანზორი“ (ს. ახმეტელის დადგმა).

●●

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ათი საბჭოთა ხუთწლედის მანძილზე მომხდარი გარდაქმნების შესახებ მოგვითხრობენ გამოფენის ექსპონატები, რომელსაც ეწოდება „ხუთწლედიდან ხუთწლედამდე“. უნიკალური ფოტოსურათები, სტენდები და ზრდის დიაგრამები, პროდუქციის შიდასაკავშირო და საექსპორტო მიწოდებათა დღევანდელი მარშრუტები მოგვითხრობენ საქართველოს შავი მეტალურგიის პირმშოს დაბადების, ჩამოყალიბებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.

ზესტაფონის ქარხანა პირველი საბჭოთა ხუთწლედის პირმშოა. მას მთელი ქვეყანა აშენებდა.

— ყოველმა საბჭოთა ხუთწლედმა თავისი დაღი დატოვა ქარხნის სახეზე, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საწარმოს მთავარმა ინჟინერმა თამაზ ახობაძემ, — წლითიწლობით იზრდებოდა მისი სიმძლავრენი, რომლებიც დღეისათვის ხუთჯერ და მეტად აღემატება ადრე დაგეგმილს. თითქმის მთლიანად განახლებულია მოწყობილობა, ავტომატიზებული და მექანიზებულია ბევრი საწარმოო პროცესი. ამჟამად აქ შენდება კიდევ ორი ღუმელი, რომელთაგან თითოეულის მწარმოებლობა, აღემატება პირველი ომისშემდგომი ხუთწლედის წლებში მთელი საწარმოს სიმძლავრის მაჩვენებელს. უმჯობესდება მუშებისა და მოსამსახურეების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები. ვადამდე სრულდება კოლექტივის სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმა. ამაში შედის ახალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები და ბავშვთა ბაგა-ბაღები, სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, დასვენების ზონები.

—დიდი დაპასუხსაგები ამოცანები დგას ჩვენი საწარმოს კოლექტივის წინაშე მიმდინარე ხუთწლედში, — თქვა ქარხნის პარტკომის მდივანმა თეიმურაზ კაკიჩაშვილმა. — მათ წარმატებით გადაჭრაში გვეხმარება ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხანასთან და ალავერდის სამთო-მეტალურგიულ კომბინატთან მეგობრობა. ურთიერთმხარდაჭერა არა მარტო კეთილი ტრადიციაა, რომლის სათავეებთანაც ჩვენი მამები იდგნენ, ეს ჩვენი ცხოვრების კანონია, რომელიც გვშველის ყოველ წელს ახალ მაღალ მიჯნებს მივაღწიოთ წარმოების განვითარებაში. სოციალისტური შჯიბრების შესახებ ჩვენს ერთობლივ ხელშეკრულებაში ისინი განსაზღვრულია კონკრეტულად: შევასრულოთ მეათე ხუთწლედის დავალება 1980 წლის 7 ოქტომბრისათვის — ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მესამე წლისთავისათვის.

ქალია ახლა მოინახოს ჩვენს ქვეყანაში ისეთი კუთხე, რომლის გზებზედაც არ დაჰქროდნენ „კაზის“ მარკის მძლავრი ქუთაითური სატვირთო ავტომობილები. ისინი ნაუკეთესო და საიმედოა. ამიტომ აქვთ მინიჭებული ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

სურათზე: ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მანქანების ერთი პარტია გაგზავნის წინ.

ვლ. გინზბურგის ფოტო.



ფეროს ათი ხუთწლედი

სტახანოვური მოძრაობა რესპუბლიკაში თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნიდან დაიწყო. მეხედელთა პირველი სტახანოვური ბრიგადის ხელმძღვანელი დავით ჭიჭინაძე იყო.

●●

სურათზე: დ. ჭიჭინაძე (მარცხნიდან მესამე) ბრიგადის წევრთა შორის. (სურათი – გადაღებულია 1935 წელს).

ფოტომატიანის სარკეში

თემურ ვანაჩა — 111 წლის კოლმეურნე

პირველი ხუთწლედის წლებში აფხაზეთის ახსრ გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთში ერთ-ერთ პირველ ჩაის პლანტაციას. პლანტაციის შექმნის ინიციატორი იყო 60 წლის გლეხი თემურ ვანაჩა. მას შემდეგ ჩაი კოლმეურნეობის წამყვანი კულტურა გახდა. ამჟამად ჩაის ბუჩქებს უკვე 220 ჰექტარი ფართობი უკავია. ის პირველი პლანტაცია კი, რომლის ფართობი 0,8 ჰექტარი იყო, დღესაც იძლევა მოსავალს. ყოველწლიურად თ. ვანაჩა სახელმწიფოს ამ პლანტაციაზე მოკრეფილ 2-2,5 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს აძლევს.

წელს თემურ კუბანის ძეს 111 წელი შეუსრულდა. მიუხედავად ამ ასაკისა, იგი კვლავ შრომობს კოლმეურნეობაში და საწარმოო წარმატებებისათვის მას ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭა.

— კოლმეურნეობის საპატიო წევრი თემურ ვანაჩა ყველა მოვლენის შუაგულში ტრიალებს. — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა მ. ხაგუშმა. — იგი აქტიურად მონაწილეობს ვაზის გაშენებაში, ფერმების მშენებლობაში, გზების გაყვანაში...

თ. ვანაჩას ორსართულიანი სახლის მახლობლად არის ცაცხვი, რომელიც, როგორც ამბობენ 400 წლისაა. მის ჩრდილქვეშ მუდამ გრილა. აქედან თვალწინ იშლება კავკასიონის თეთრი მწვერვალები, ლურჯი ზღვა. თემურ კუბანის ძეს უყვარს ამ ხის ქვეშ ყოფნა და ცხოვრებაზე ფიქრი. ბევრი დრამატული ამბავი მომხდარა ამ ადგილას. ჯერ კიდევ მამამისის ნაამბობიდან იცის, რომ ლიხნელებმა ვეღარ გაუძლეს ბატონის ჩაგვრას, აჯანყება მოაწყვეს გლეხის ოსმან შამბას მეთაურობით. ეხლაც მოჩანს აქედან თავადის კოშკის ნანგრევები. აქედან მოეწყოდებდნენ ხალხს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად მგზნებარე რევოლუციონერები სერგო ორჯონიკიძე და ლიხნელი ნესტორ ლაკობა. აქვე ახლოს მდებარე სახლში კი გ. კ. ორჯონიკიძემ მოაწყო იატაკქვეშა ბოლშევიკური სტამბა, სადაც ფურცლებს ბეჭდავდნენ.

...თემურ ვანაჩა სიამოვნებით ავლებს თვალს გორაკებზე შეფენილ კოლმეურნეთა ქვის სახლებს, კულტურის სასახლეს, სპორტულ მოედნებს, ახალ სკოლას საცურაო აუზით, და ამაყობს იმით, რომ განვლილი ხუთწლედების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა. ეს იმ ადამიანის სიხარულია, რომლის ოცნებები რეალობად იქცევა, ადამიანისა, რომელიც პირადად მონაწილეობდა მშობლიური კოლმეურნეობის დიდ საქმეებში.

ექვსი მილიონი ტონა ნავთობი

**ბაკო-ბათუმის ნავთობსადენი ექვსი მილიონ ტონა ნავთობს ერთ-ერთ ეტაპზე ამ ადგილას ... ...

ᲮᲣᲗᲛᲬᲚᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

50 ᲬᲚᲘᲡ ᲮᲘᲓᲖᲔ

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ

ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ დამყარებული იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება, როცა 19 წლისამ პირველად შეავღე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კარი და ქრონიკიორ-რეპორტიორად დავიწყე მუშაობა.

...განახლებული საქართველო სამშენებლო პოლიგონად იყო ქცეული: ზაპეხი უკვე აშენებული იყო, შემდეგ დაიწყო და აიგო რიონჰესი, აჭიესი და სხვა.

რომელი ერთი გავიხსენო, ნახევარმა საუკუნემ გაიარა მას აქეთ, რაც ჩვენ, პირტიტველა ჭაბუკები, ახლად ფეხადგმული რეპორტიორ-ჟურნალისტები მუხლჩაუხრელად დავრბოდით ახალი ინდუსტრიული მშენებლობის ობიექტიდან ობიექტზე და სათაყვანებელი სამშობლოს მშენებლობის ერთ მთლიან სურათს ვხატავდით.

ყველაფერ ამაზე წერდნენ ჩვენი გაზეთები, ყველაფერ ამაზე უამბობდა ხალხს მაშინდელი ახლადფეხადგმული რადიომაუწყებლობაც და ამის შემქმედი ცენტრალური ფიგურა გახლდათ ყველგანმავალი, ყოვლისმხედველი და ყოვლისმცოდნე რეპორტიორი, ჟურნალისტი, რომელიც დიდ მოვლენათა მარტოოდენ ფიქსატორი კი არ იყო, არამედ თანამონაწილე და თანამოზიარე. იგი დღეებსა და ღამეებს ათენაღამებდა ყოველ ობიექტზე, უნდა ეწერა სიმართლე, ემხილებინა სიძნელეები და დაბრკოლებები, მთელი მათი ავლადიდები წარამოჩინა ენთუზიასტი მშენებლები. ყველაფერი უნდა ეკეთებინა სწრაფად, დაუგვიანებლად.

იოლი არ იყო ეს მუშაობა.

მახსოვს, აგარიდან ვბრუნდებოდი ღამით. მთელი ერთი კვირა დავყოფილ იქ, ვიდრე ქარხანას საბოლოოდ გამოცდიდნენ და საექსპლოატაციოდ გადასცემდნენ. დღე და ღამე გასწორებული ჰქონდათ მშენებლებსა და მემონტაჟეებს. მეც მათთან ვიყავი და ვიზიარებდი მათ სიხარულსა და წუხილს. ბოლოს, ყველაფერი რომ მოთავდა, თბილისისაკენ გამოვეშურე, ქარხნის გახსნას გაეთი მთელ გვერდს უთმობდა და ამ გვერდის ბედი ჩემ ხელთ იყო, მე უნდა შემევლო წამოღებული მასალებით. ღამის მატარებელს გამოვყევი, მაგარი ვაგონის მეორე თაროზე დავწექი და დაღლილს მალე ჩამეძინა. მატარებლის უეცარმა შენჯღრევამ საწოლიდან გადმომაგდო; ბედად არაფერი დამშავებია, თუმცა გორიდან დაძრული მატარებელი მეისრის დაუდევრობით მთავარ ლიანდაგს ასცდენოდა და ჩიხში შესული, ორთქმავალი ხრამში გადაეხეხილიყო. შესანიშნავი მემანქანე, ჩვენ ბური პოპოვი შეეწირა ამ ავარიას, საცოდავი დაზიანებული ინექტორით სპეციალური კომისია მიჰყვებოდა. აქ იყო თვით გამომგონებელი. კომისიას თან ახლდნენ ჟურნალისტებიც. „კომუნისტიდან“ მე მქონდა დავალებული გაყოლა. ღამის 2 საათზე იყო დანიშნული თბილისიდან გასვლა. რაღაც მიზეზის გამო შემაგვიანდა. სადგურში რომ მივედი, შემადგენლობა წასული დამხვდა. დავღონდი, მაგრამ რა მექნა. ვიცოდი, რაც მომელოდა ამ მარცხისათვის და ბედს შევურიგდი, შინ წავედი. ვერასგზით მოვისვენე, ირიჟრაჟა თუ არა, გზის სადისპეტჩერეში დავრეკე, ვიკითხე საცდელი შემადგენლობის ადგილსამყოფელი. ეღდა მეცა, როცა მითხრეს, იმ მატარებელმა წიფაში ავარია განიცადაო, თან ისიც გამაგებინეს, რომ ნახევარ საათში დამმარე მატარებელი იგზავნებოდა. სადგურთან ახლოს ვცხოვრობდი და მაშინვე იქ გავჩნდი. რკინიგზაზე მიცნობდნენ, ჩავსხედით მატარებელში. არსად არ გაჩერებულა, 3 თუ 4 საათში წიფაში ვიყავით და ჩვენი თვალით ვნახეთ მომხდარი საშინელება.

კომისიის ყველა წევრი და კორესპონდენტები ბეწვზე იყვნენ გადარჩენილი. შემადგენლობიდან ამოვარდნილი მათი ვაგონი მთავარ ლიანდაგს იქით ეგდო გადაბრუნებული, ხეს მიყრდნობოდა და ისე გაჩერებულიყო, თორემ ხე რომ გადაეგლიჯა, კლდეზე გადაიჩეხებოდა და დაიმსხვრეოდა. კუთხეულმა ფესვმაგარმა რცხლამ იხსნა. დაბეგვილები კი იყვნენ, მაგრამ დაბეგვას ვინ ჩიოდა...

მოგეხსენებათ, ყოველ სიახლეს თავისი მოწინააღმდეგე უჩნდება. კაზანცევის ბუხრუშებსაც ჰყავდა მოწინააღმდეგენი, რომლებიც ამცირებდნენ მის ღირსებას და ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ. კარგია, თუ ასეთი პაექრობა მზაკვრობაში არ გადაიზარდა, მაგრამ უბედურებაა, თუ მოწინააღმდეგემ შუბლის ძარღვი გაიწყვიტა და გული ბოროტება ჩაითესა.

ამ შემთხვევაში სწორედ რომ უკანასკნელს ეზიმინა. შემადგენლობას მშვიდობიანად გაეცლო ქართლის ველები და როდესაც სურამის ვირაბში თავქვე დაქანებულიყო, მუხრუჭი აღარ ამოქმედებულა, მემანქანეებს ვეღარ შეეკავებინათ მძიმე შემადგენლობა და ელვის სისწრაფით დაქანებული დამჭერ ჩიხში ავარდნილიყო და დამსხვრეულიყო. როგორც ექსპერტზამ გამოარკვია, ვიღაც ბოროტმოქმედს სამუხრუჭე ონკანი გადაეკეტა ორთქლმავალთან, მუხრუჭებს ძალა დაეკარგა და ამან გამოიწვია კატასტროფა.

საქმის გამოძიებას სათანადო ორგანოებმა მოჰკიდეს ხელი. დამხმარე მატარებელი გზის გაწმენდას შეუდგა, ჩვენ კი უკან გამოვბრუნდით.

ბოლოს კაზანცევმა მაინც გაიმარჯვა. მისი სისტემების მუხრუჭები დღესაც ემსახურება რკინიგზას.

ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ ყველას სად იტევი?

ასე ვმუშაობდით მაშინდელი თაობის რეპორტიორები ხუთწლედისათვის.

ᲐᲜᲢᲝᲜ ᲙᲔᲚᲔᲜᲯᲔᲠᲘᲫᲔ.



ᲡᲐᲓ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲗ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ?

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲗᲕᲚᲘᲚ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

მოსკოვის მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: 1. ტყავისა და ბეწვეულის ტექნოლოგია, 2. ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება.

მოსკოვის სარკინიგზო ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში: 1. ლოკომოტივმშენებლობა, 2. რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

მოსკოვის საავტომობილო საგზაო ინსტიტუტში: 1. მართვის ავტომატიზირებული სისტემები.

მოსკოვის ხორცისა და რძის მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: 1. ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია.

მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში: 1. საფეიქრო მრეწველობის მანქანები და აპარატები, 2. უქსოვადი საფეიქრო მასალების წარმოება.

მოსკოვის გუბკინის სახელობის ნავთობ-ქიმიური და გაზის მრეწველობის ინსტიტუტში: 1. ქიმიური წარმოებათა მანქანები და აპარატები.

მოსკოვის ქიმიური მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში: 1. ქიმიური მანქანათმშენებლობა და აპარატმშენებლობა.

მოსკოვის წმინდა ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტში: 1. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიური ტექნოლოგია.

მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: 1. მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია.

მოსკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში: 1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

ლენინგრადის ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში: 1. ცელულოზა-ქაღალდის წარმოების ქიმიური ტექნოლოგია. 2. ცელულოზა-ქაღალდის წარმოების მანქანები და აპარატები.

ლენინგრადის ქიმიურ-ფარმაცევტიულ ინსტიტუტში: 1. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიური ტექნოლოგია.

ლენინგრადის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში: 1. ელექტრონულ-სამედიცინო აპარატურა.

კიევის კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: 1. ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია, 2. რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგია.

კიევის ავტომანქანა ინსტიტუტში: 1. საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია.

ოდესის კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: 1. მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია, 2. ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია, 3. რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგია.

ნოვოსიბირსკის ელექტროტექნიკური ინსტიტუტში: 1. ელექტრონული ხელსაწყოები, 2. კავშირგაბმულობის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

ასტრახანის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ტექნიკურ ინსტიტუტში: 1. თევზის პროდუქტების ტექნოლოგია, 2. იქთიოლოგია და მეთევზეობა.

კალინინის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ტექნიკურ ინსტიტუტში: 1. სამრეწველო თევზჭერა.

კიროვის პოლიტექნიკური ინსტიტუტში: 1. ხე-ტყისა და მერქნის გადამამუშავებელი მრეწველობის მანქანები და მექანიზმები.

ვორონეჟის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: 1. შაქროვან ნივთიერებათა ტექნოლოგია.

ხარკოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: 1. ლოკომოტივმშენებლობა.

ტაგანროგის რადიოტექნიკურ ინსტიტუტში: 1. ელექტრონულ გამომთვლელი მანქანების კონსტრუირება და წარმოება.

კრასნოდარის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: 1. შაქროვან ნივთიერებათა ტექნოლოგია.

ტაშკენტის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტში: 1. ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა.

ივანოვოს საფეიქრო ინსტიტუტში: 1. საკერავ ნაკეთობათა კონსტრუირება.

ნოვოჩერკასკის საინჟინრო-მელიორაციულ ინსტიტუტში: 1. ჰიდრომელიორაციული სამუშაოების მექანიზაცია.

ხმელნიცკის საყოფაცხოვრებო მომსახურების ტექნიკურ ინსტიტუტში: 1. საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და ორგანიზაცია.

ლენინგრადის კინოინჟინერთა ინსტიტუტში: 1. კინოაპარატურა, 2. ხმის ტექნიკა.

კაუნასის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: 1. ბუნებრივი და ჩანადენი წყლების გაწმენდა.

შენიშვნა: ზემოთჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები ჩატარდება ყოველ მაზრაში, ავტონომიურ რესპუბლიკასა და ავტონომიურ ოლქში.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲚᲝᲛᲝᲜᲝᲡᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲔᲑᲖᲔ:

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. სამართალმცოდნეობა, 2. ისტორია, 3. პოლიტიკური ეკონომია, 4. მათემატიკა, 5. ფიზიკა, 6. ბიოფიზიკა, 7. ბიოქიმია, 8. ესპანური ენა.

მოსკოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტში: 1. წინგთმცოდნეობა და წიგნით ვაჭრობის ორგანიზაცია.

მოსკოვის ხორცისა და რძის მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: 1. სასურსათო საქონლის მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

მოსკოვის ისტორიულ-საარქივო ინსტიტუტში: 1. ისტორიულ-არქივმცოდნეობა, 2. სახელმწიფო დაწესებულებებში დოკუმენტმცოდნეობა და სამართველო შრომის ორგანიზაცია.

მოსკოვის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში: 1. ესპანური ენა.

კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა, 2. საერთაშორისო სამართალი.

დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. რუსული ენა და ლიტერატურა.

ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. მეცნიერული კომუნიზმი.

მინსკის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში: 1. დეფექტოლოგია.

შენიშვნა: ზემოთჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები ჩატარდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2, მაღლივი კორპუსი).

მოსკოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტში: 1. პოლიგრაფიული მანქანები.

მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში: 1. რადიოტექნიკა.

მოსკოვის ხორცისა და რძის მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: 1. ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია.

მოსკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში: 1. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა.

მოსკოვის უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტში: 1. ინგლისური ენა.

ლენინგრადის ქიმიურ-ფარმაცევტულ ინსტიტუტში: 1. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიური ტექნოლოგია.

კიევის კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია.

ოდესის უმაღლეს საზღვაო სასწავლებელში: 1. საზღვაო გზებზე გემთმართველობა.

ნიკოლაევის გემთმშენებლობის ინსტიტუტში: 1. გემის მანქანები და მექანიზმები.

ვორონეჟის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: 1. სამადლერო წარმოების ტექნოლოგია.

ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. სამართალმცოდნეობა.

დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. რუსული ენა და ლიტერატურა.

კაუნასის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: 1. ბუნებრივი და ჩანადენი წყლების გაწმენდა.

შენიშვნა: ზემოთჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები ჩატარდება ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. სოხუმი, მშვიდობის გამზირი 23).

მოსკოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტში: 1. პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგია. 2. პოლიგრაფიული მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში: 1. დინამიკა და მანქანათა გამძლეობა, 2. საქალაქო ელექტრული ტრანსპორტი.

მომსახურების ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: 1. საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და ორგანიზაცია.

ლენინგრადის კინოინჟინერთა ინსტიტუტში: 1. კინოაპარატურა, 2. ხმის ტექნიკა.

კაუნასის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: 1. ბუნებრივი და ჩანადენი წყლების გაწმენდა.

შენიშვნა: ზემოთჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები ჩატარდება ხარკოვის ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტში (თბილისი, დიღომი, სამხედრო გზის მე-18 კმ).

მოსკოვის საავტერინარო აკადემიაში: 1. ზოოტექნია.

შენიშვნა: მოსკოვის საავტერინარო აკადემიაში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები ჩატარდება საქართველოს ზოოტექნიკურ-საავტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში (თბილისი, კრწანისი).

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. სამართალმცოდნეობა.

მოსკოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტში: 1. პოლიგრაფიული მანქანები, 2. პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგია.

მოსკოვის საავტომობილო საგზაო ინსტიტუტში: 1. საავტომობილო ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში: 1. საფეიქრო მრეწველობის მანქანები და აპარატები.

მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში: 1. ამწე-სატრანსპორტო მანქანები და მოწყობილობა.

ოდესის საზღვაო ფლოტის ინჟინერთა ინსტიტუტში: 1. წყლის ტრანსპორტის ექსპლოატაცია, 2. ნავსადგურებში გადასატვირთი სამუშაოთა მექანიზაცია.

ოდესის უმაღლეს საზღვაო სასწავლებელში: 1. საზღვაო გზებზე გემთმართველობა.

ნიკოლაევის გემთმშენებლობის ინსტიტუტში: 1. გემთმშენებლობა და გემთმრემლიტი.

ხმელნიცკის საყოფაცხოვრებო მომსახურების ტექნიკურ ინსტიტუტში: 1. საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და ორგანიზაცია.

დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. რუსული ენა და ლიტერატურა.

შენიშვნა: ზემოთჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები ჩატარდება ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35).

მოსკოვის საავტომობილო საგზაო ინსტიტუტში: 1. საავტომობილო ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში: 1. საფეიქრო მრეწველობის მანქანები და აპარატები.

დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. რუსული ენა და ლიტერატურა.

კიევის კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: 1. რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგია.

შენიშვნა: ზემოთჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები ჩატარდება სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ქ. ცხინვალი, მოსკოვის 8).

აღნიშნულ სპეციალობებზე შემსვლელნი მისაღებ გამოცდებზე აბარებენ შემდეგ საგნებში: 1. ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და მოწყობილობის, გემთმშენებლობისა და გემთრემლიტის, პოლიგრაფიული მანქანების, ქიმიური მრეწველობის მანქანებისა და აპარატების, ხეტყისა და მერქნის გადამამუშავებელი მრეწველობის მანქანებისა და მექანიზმების, გემის მანქანებისა და მექანიზმების, ლოკომოტივმშენებლობის, დინამიკისა და მანქანების გამძლეობის, კინოაპარატურის, ცელულოზა-ქაღალდის წარმოების მანქანებისა და აპარატების, ქიმიური მანქანათმშენებლობისა და აპარატმშენებლობის, საფეიქრო მრეწველობის მანქანებისა და აპარატების, ელექტრული ხელსაწყოების, ხმის ტექნიკის, ელექტრულ-სამედიცინო აპარატურის, მართვის ავტომატიზირებული სისტემების, ელექტრონულგამომთვლელი მანქანების კონსტრუირებისა და წარმოების, საკერავ ნაკეთობათა კონსტრუირების, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის, ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაციის, საქალაქო ელექტრული ტრანსპორტის, საზღვაო გზებზე გემთმართველის, წყლის ტრანსპორტის ექსპლოატაციის, ნავსადგურებში სატვირთო სამუშაოების მექანიზაციის, საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის, რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, საავტომობილო ტრანსპორტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, მათემატიკის, ფიზიკის, რადიოტექნიკის სპეციალობებზე: **მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).**

2. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ტექნოლოგიის, ცელულოზა-ქაღალდის წარმოების ქიმიური ტექნოლოგიის, მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავების, შაქროვან ნივთიერებათა ტექნოლოგიის, სამადლერო წარმოების ტექნოლოგიის, ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგიის, თევზის პროდუქტების ტექნოლოგიის, სამრეწველო თევზჭერის, იქთიოლოგიისა და მეთევზეობის, რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგიის, ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვის, ტყავისა და ბეწვეულის ტექნოლოგიის, პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგიის, ტყავის ნაკეთობის კონსტრუირების, უქსოვადი საფეიქრო მასალების წარმოების, პოლიგრაფიული წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის, ბუნებრივი და ჩანადენი წყლების გაწმენდის— სპეციალობებზე: **ქიმია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).**

3. ფარმაციის სპეციალობაზე: **ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).**

4. ზოოტექნიკის სპეციალობაზე: **ბიოლოგია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).**

5. ბიოლოგიის სპეციალობაზე: **ბიოლოგია (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).**

6. სამართალმცოდნეობის, მეცნიერული კომუნიზმის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ინგლისური ენის, ესპანური ენის, ისტორიის, ისტორიულ-არქივმცოდნეობის, სახელმწიფო დაწესებულებებში დოკუმენტმცოდნეობისა და სამმართველო შრომის ორგანიზაციის სპეციალობებზე: **რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი).**

7. დეფექტოლოგიის სპეციალობაზე: **რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი).**

8. პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობაზე: **მათემატიკა (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).**

9. ბიოფიზიკის სპეციალობაზე: **მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).**

10. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სპეციალობაზე: **მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).**

11. საერთაშორისო სამართლის სპეციალობაზე: **გეოგრაფია (ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).**

12. სასურსათო საქონლის მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაციის სპეციალობაზე: **მათემატიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი), რუსული ენა ლიტერატურა (წერა).**

შენიშვნა: ოქროსა და ვერცხლის მედლით სკოლადამთავრებულნი ან საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას შესაბამისი სპეციალობისათვის მთითუნულ მხოლოდ პირველ საგანში, გამოცდის „ხუთზე“ ჩაბარებისას ისინი თავისუფლდებიან მომდევნო გამოცდებისაგან ხოლო „ოთხის“ მიღებისას აბარებენ გამოცდას ყველა საგანში.

აბიტურიენტი, რომელიც გამოცდებზე მიიღებს შეფასებას „ორს“ — ეთიშება კონკურსს, ხოლო „სამის“ მიღებისას აგრძელებს გამოცდებს რესპუბლიკის იმ უმაღლეს სასწავლებელში შესაბამის სპეციალობაზე კონკურსში მონაწილეობისათვის, სადაც შეიტანა საბუთები.

ექსპერიმენტი (ორი საგნის ჩაბარების წესი) — არ ხორციელდება. რუსული ენისა და ლიტერატურაში წერითი მისაღები გამოცდა ჩატარდება თხზულების სახით (ის პირები, რომლებმაც რუსული ენა საშუალო სასწავლებლებში ისწავლეს ეროვნული სკოლის პროგრამის მიცუღობით, დაწერენ წაკითხული ტექსტის შინაარსს; აღნიშნული წესი არ ვრცელდება დეფექტოლოგიის, სამართალმცოდნეობის, საერთაშორისო სამართლის, ისტორიულ-არქივმცოდნეობის, საერთაშორისო ეკონომიკური, საერთაშორისო ურთიერთობის, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე შემსვლელებზე).

მისაღები გამოცდები ჩატარდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

კონკურსი გაიმართება სპეციალობების მიხედვით. ჩარიცხვა იწარმოებს მომქმედი წესების შესაბამისად. სპეციალობებზე: სამართალმცოდნეობა, მეცნიერული კომუნიზმი, პოლიტიკონომია, როგორც წესი, მიიღებიან პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟის მქონე პირები.

საბუთების შეტანა იწარმოებს 31 ივლისამდე იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ჩატარდება მისაღები გამოცდები.

განცხადებას ბლანკი გაიცემა მიმღებ კომისიაში, ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნას რუსულ ენაზე. უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელი პირადად წარადგენს პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

სპეციალობის სწორად შერჩევის მიზნით აბიტურიენტები გავლენან წინასწარ გასაუბრებას.





ᲮᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ
VII ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡᲐᲓᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 10 ივლისი. (ჩვენი სპეც. კორ. ტელეფონით). პაპანაქების სიცხეაო — ვერასგზით ვერ იტყვი. გუშინწინდელი წვიმის შემდეგ თითქოს ერთგვარად აგრილდა კიდეც, დღეს თერმომეტრი მხოლოდ 24 გარდუსს უჩვენებდა, მაგრამ დედაქალაქის სპორტულ სარბიელზე მოსასპარეზეთა ერთ ნაწილს, კერძოდ მოფარიკაჭეებს ხვითქი გადასდით.

როგორც ეიუწყებოდით, გუშინ გამოვლინდნენ სპარტაკიადის პირველი პრიზიორები. ცსკას ფეხბურთისა და მძლეოსნობის კომანდებში რაპირისტ ვაჟთა ორთაბრძოლებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. მას შემდეგ, რაც 25 წლის კიეველმა **ვლადიმერ სმირნოვმა** შეტად დაძაბულ ბრძოლაში სძლია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ალექსანდრე რომანკოვს, იგი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. და მართლაც, იგი ოლად გაუსწორდა ფინალური ექვსეულის დანარჩენ მონაწილეებს. წინა სპარტაკიადის ჩემპიონს ლვოველ ვასილი სტანკოვიჩს, ივან ტოლკაჩევს (ბელორუსია), და ორ უცხოელ მონაწილეს — მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს იტალიელ კარლო მონტანოს და ჩეხოსლოვაკიელ ფრანტიშეკ კოუკალას.

ახალგაზრდა რაპირისტმა სპარტაკიადაში გამარჯვების პარალელურად, წესისამებრ, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალიც მიიღო და ახლა უკვე სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონის ტიტულს ატარებს.

ვერცხლის მედალი წილად ხვდა ასევე უკრაინის გუნდის წარმომადგენელს **ვასილი სტანკოვიჩს,** რომელმაც სამ ორთაბრძოლაში გაიმარჯვა. ამდენივე მოგება ჰქონდა **ალექსანდრე რომანკოვს** (ბელორუსია), მაგრამ იმის გამო, რომ ჩხვლეტების შედარებით უარესი შეფარდება აღმოაჩნდა, იგი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

მეოთხე ადგილზე გამოვიდა კარლო მონტანო, მეხუთეზე — ივანე ტოლკაჩევი (ბელორუსია), მეექვსე — ფრანტიშეკ კოუკალა.

რიგბორც ვიცით, უამინდობის გამო რიგბისა და იურმალაში დაუმთავრებელი დარჩა ჩოგბურთელთა გუნდების რამდენიმე შეხვედრა. **მესამე ჯგუფში** ქართველი და ბელორუსი სპორტსმენების ორთაბრძოლები მაშინ შეწყდა, როცა ანგარიში საყაიმო იყო — 2:2. გუშინ განახლდა გადადებული შეხვედრები. ქართველი ჩოგბურთელები დამარცხდნენ— 3:6. ამავე ჯგუფში ტაჯიკებმა დაამარცხეს სომ